



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
გაფიცვის გადადების შესახებ

01.05.2018 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე გიორგი გოგიჩაშვილი

განმცხადებელი (დამსაქმებელი) შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია,
მოწინააღმდეგე მხარე (დასაქმებულთა ჯგუფი) ა(ა)იპ ერთობა 2013,
მოთხოვნის არსი: გაფიცვის გადადება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა გაფიცვის გადადების შესახებ
განცხადება

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

2018 წლის 01 მაისს, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ განცხადებით მომართა
თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შპს თბილისის სატრანსპორტო
კომპანიაში დასაქმებულთა გაფიცვის გადადება/შეჩერება საქართველოს შრომის
კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად 30 დღის ვადით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ ერთობა 2013-მა 2018 წლის 02 აპრილს
წერილობით (რეგისტრაციის N1995/01) მიმართა შპს თბილისის სატრანსპორტო
კომპანია და მოითხოვა კომპანიაში დასაქმებული პროფესიული კავშირის ყველა
წევრისათვის შრომის ანაზღაურების 45%-ით გაზრდა. საქართველოს შრომის
კოდექსის 48¹-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვი მინისტრის მიერ მხარეთა შეთანხმებული პროცედურების წარმოების მიზნით
დაინიშნა მედიატორი. კომპანიამ დაუყოვნებლივ დაიწყო საკითხის განხილვა და
შემთანხმებელ პროცედურებში აქტიური ჩართულობა.

განცხადების თანახმად კომპანიაში დასაქმებულია 6300-მდე თანამშრომელი,
რომელთაგან 214 გაწევრიანებულია ა(ა)იპ ერთობა 2013-ის პროფესიულ კავშირში,
რომელთაგანაც უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენს ელ-მატარებლების

მემანქანეებს. ასევე კომპანიაში ფუნქციონირებს ასევე სხვა პროფკავშირული გაერთიანებებიც ხელფასის გაზრდის შესახებ მოთხოვნის მხოლოდ 214 კომპანიაში დასაქმებულისათვის დაკმაყოფილების შემთხვევაში კომპანიის მოქმედება შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც დისკრიმინაციული მოპყრობა კომპანიის სხვა თანამშრომლებთან მიმართებით, ხოლო კომპანიაში დასაქმებულ ყველა თანამშრომლისათვის ხელფასის მატება გამოიწვევს კომპანიის გაკოტრებას და სამუშაო პროცესის შეჩერებას მისი ამჟამინდელი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და რესურსებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის სუბსიდირება ხდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

განცხადების მიხედვით, მიუხედავად კომპანიის მცდელობისა, მედიატორის ჩართულობითა და სამედიაციო შეხვედრებში მონაწილეობით, 30.04.2018 წელს პროფკავშირმა კომპანიას აცნობა 03.05.2018 წლიდან მასში გაწევრიანებული ყველა წევრის მიერ გაფიცვის დაწყების შესახებ.

განცხადების თანახმად, გაფიცვის გამართვით მისი გადადების გარეშე სავალალო ფინანსური შედეგები მოყვება, როგორც კომპანიისათვის, ასევე გამოიწვევს დედაქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პარალიზებას, რაც საფრთხეს შეუქმნის დედაქალაქის მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე მესამე პირების საკუთრებას, რადგან მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტის სრული ჩანაცვლება შეუძლებელია მიწისზედა მუნიციპალური ტრანსპორტით. მოსახლეობა გადაადგილებისათვის სავარაუდოდ გამოიყენებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებს, რაც გამოიწვევს საცობებს და მიწისზედა ინფრასტრუქტურის გადატვირთვას. რაც შეაფერხებს, როგორც ჯანდაცვის, სახანძრო, უსაფრთხოების და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების უზრუნველყოფი სამსახურების მიერ სამსახურეობრივი სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას. რადგან მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტი ემსახურება საშუალოდ 327 000 მომხმარებელს ყოველდღიურად.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გაფიცვის გადადების სამართლებრივი საფუძველი სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობისათვის საფრთხის შექმნის სახით.

სასამართლო გაეცნო რა განცხადებას, თანდართულ დოკუმენტებს, შეამოწმა მისი დასაბუთებლობა, მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უდაოა, რომ სახეზეა დამსაქმებელს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და

ამავე კომპანიაში დასაქმებულ პირთა შორის კოლექტიური დავა. საქართველოს შრომის კოდექსის 47.1. მუხლის თანახმად, დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში.

საქართველოს შრომის კოდექსის 48¹.1. მუხლის თანახმად, კოლექტიური დავა (დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის) უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რაც გულისხმობს დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს (სულ მცირე 20 დასაქმებული) ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას ან მედიაციას ერთ-ერთი მხარის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის (შემდგომ – მინისტრი) შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.

განცხადებაზე დართული დოკუმენტებით კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის მიზნით მიმდინარეობს შემათანხმებელი პროცედურები მედიატორის მონაწილეობით, რომელიც დასრულებული არ არის.

მიუხედავად შემათანხმებელ პროცედურებისა ა(ა)იპ ერთობა 2013-მა 30.04.2018 წელს გაფიცვის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება, რაც აცნობა დამსაქმებელს.

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის თანახმად, გაფიცვის უფლება აღიარებულია და ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით, სახელდობრ, საქართველოს შრომის კოდექსით. აღნიშნული კოდექსის 49.1. მუხლის შესაბამისად, გაფიცვა არის, დავის შემთხვევაში, დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

გაფიცვის უფლება არის ფუნდამენტური უფლება, რომელიც ევროპული სამართლის ზოგადი პრონციპების განუყოფელი ნაწილია. თუმცა გაფიცვის უფლება აბსოლუტური არ არის და შესაძლებელია შეიზღუდოს. საქართველოს კონსტიტუციის მოხმობილი, 33-ე მუხლის შესაბამისად, კანონი ადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს. ამ სახის ერთგვარი გარანტია დადგენილია საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა შეაჩეროს ამავე ვადით. ევროკავშირის სასამართლომ დასაშვებად ცნო გაფიცვის უფლების შეზღუდვა იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება

ევროკავშირის ფუნდამენტურ თავისუფლებებს ქონებასთან, ადამიანთან, მომსახურებასთან და კაპიტალთან დაკავშირებით (იხ. International Transport Workers' Federation, Finish Seamen's Union v. Viking Line ABP, OÜ viking Line Eesti, 11.12.2007, 43-44-ე პუნქტები).

მოცემულ შემთხვევაში, გაფიცვის დაწყების შესახებ განაცხადეს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროპოლიტენის 214-მა თანამშრომლებმა რომლებიდან უდიდესი უმრავლესობა ელ-მატარებლის მემანქანეები არიან და რომლებიც გაერთიანებული არიან ა(ა)იპ ერთობა 2013-ში.

საქართველოს შრომის კოდექსის 49.5. მუხლის მიხედვით, კოლექტიური დავის მხარეებმა არანაკლებ 03 კალენდარული დღით ადრე, წერილობით უნდა შეატყობინონ ერთმანეთს და მინისტრს გაფიცვის დრო, ადგილი და ხასიათი. დასაქმებულთა პროფკავშირის შეტყობინების თანახმად, ა(ა)იპ ერთობა 2013-ის წევრთა გაფიცვა დაიწყო 2018 წლის 03 მაისიდან თუმცა არ არის მითითებული მისი დასრულების ვადა დაწყების ზუსტი საათი და ადგილი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შუამდგომლობა გაფიცვის გადადების თაობაზე შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე მუხლის დანაწესს, მეტროპოლიტენში დასაქმებულთა გაფიცვა განუსაზღვრელი ვადით საფრთხეს შეუქმნის ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას, მესამე პირის საკუთრებას აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურების საქმიანობას, ამავე დროს, დედაქალაქის მოსახლეობის გადაადგილების ჩვეულ რეჟიმს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურებისათვის - სასწრაფო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების სამსახურების, პოლიციის, სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებას.

მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტი (მეტრო) წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რომლითაც ყოველდღიურად სარგებლოს და მომსახურებას ღებულობს დედაქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაახლოებით 327 000 მოქალაქე. მისი საქმიანობის შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დედაქალაქის ინფრასტრუქტურის გამართულობის უზრუნველსაყოფად. ხოლო ელ-მემანქანეების გაფიცვა გამოიწვევს მეტროპოლიტენის სრულ პარალიზებას, რისი ჩანაცვლებაც მუნიციპალური მიწისზედა ტრანსპორტით შეუძლებელია, ხოლო ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებებით გახშირებული სარგებლობა კი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას და გამართულობას საფრთხის ქვეშ დააყენებს, ასევე გართულებს სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის (ჯანდაცვა, სახანძრო უსაფრთხოება, პოლიცია და სხვ.) მომსახურების უზრუნველყოფი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებაც, რაც საფრთხეს შეუქმნის დედაქალაქის მოსახლეობის

ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და გამონაბოლქვით ზედმეტად დააბინძურებს გარემოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა, გაფიცვის 30 კალენდარული დღით გადადების თაობაზე, საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7-ე, 284- 285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით, საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე მუხლით

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. განმცხადებელ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განცხადება გაფიცვის გადადების შესახებ დაკმაყოფილდეს. გადაიდოს ა(ა)იპ ერთობა 2013-ის (შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროპოლიტენის ელ-მატარებლების მემანქანეთა და მეტროპოლიტენში დასაქმებულთა პროფესიული კავშირის) წევრთა 03.05.2018 წლიდან უვადოდ დაგეგმილი გაფიცვა, გაფიცვის ჩატარების ადგილის მიუხედავად, 30 კალენდარული დღის ვადით, 03.05.2018 წლიდან.

2. განჩინების აღსრულება მოხდეს დაუყოვნებლივ.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემიდან 12 დღის ვადაში, რომელიც არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას.

მოსამართლე

გიორგი გოგიჩაშვილი